



საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს

აკადემია

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

„19“ აპრილი 2016 წ.

თბილისი

№ 233

**სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში სტაჟირებისა და საწარმოო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის №975 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს „სსიპ -საქართველოს შსს აკადემიაში სტაჟირებისა და საწარმოო პრაქტიკის გავლის წესი“ თანდართული სახით .
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ „ სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 2009 წლის 6 მარტის N113 ბრძანება .
3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი

ნუკრი გელაშვილი

## თავი I

### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1.

ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტროს) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში (შემდგომში- აკადემია ) სტაჟირებისა და საწარმოო პრაქტიკის გავლის წესსა და პირობებს.

#### მუხლი 2.

საჯარო დაწესებულებაში დასაქმების მსურველი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული გამოცდილების შეძენის მიზნით, აკადემია უქმნის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.

#### მუხლი 3.

დებულებაში გამოყენებულ ტერმინთა მნიშვნელობა :

- ა) სტაჟირება - აკადემიაში ამ დებულებით რეგულირებადი ანაზღაურებადი ან ანაზღაურების გარეშე საქმიანობა ;
- ბ) სტაჟიორი - პირი, რომელიც აკადემიაში ამ დებულების საფუძველზე გადის სტაჟირებას ;
- გ) კანდიდატი- პირი, რომელსაც ამ დებულების შესაბამისად აკადემიაში შემოტანილი აქვს განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ ;
- დ) საწარმოო პრაქტიკა - აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის მიერ აკადემიაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება ;
- ე) პრაქტიკანტი- აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც აკადემიაში გადის საწარმოო პრაქტიკას ;
- ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (საგანმანათლებლო დაწესებულება) - სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია გასცეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომი.

## თავი II

### სტაჟიორისა და პრაქტიკანტის შერჩევა, სტატუსი

#### მუხლი 4 .

1. აკადემიაში სტაჟიორად მიიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის ან/და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ან უმაღლესი განათლების მქონე პირი.
2. აკადემიაში პრაქტიკანტად მიიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ან/და სტუდენტი ,რომელიც ირიცხება აკრედიტირებული საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამაზე.
3. სტაჟიორად არ მიღება პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ აკმაყოფილებს სამინისტროს სისტემაში სამსახურში მიღების წინაპირობებს.

#### მუხლი 5.

1. აკადემიის რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სტაჟირების გამოცხადების, პირობებისა და სტაჟიორთა რაოდენობის შესახებ.
- 2.სტაჟიორთა საერთო რაოდენობა აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებში არ უნდა აღემატებოდეს დანიშნული ერთეულების შტატიტ გათვალისწინებული მოსამსახურეთა 1/3 -ს.
3. აკადემიაში სტაჟიორად პირი მიიღება სსიპ- საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში ბიურო) მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე (hr.gov.ge) განთავსებულ სტაჟირებაზე განაცხადის რეგისტრაციის მეშვეობით.
4. სტაჟიორთა კონკურსის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
  - ა) იმ სტრუქტურული ერთეულის დასახელებას, სადაც ცხადდება სტაჟიორთა კონკურსი;
  - ბ) ინფორმაციას სტაჟიორთა კონკურსის თემატიკის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, კონკურსის ეტაპების და პირობების შესახებ;
  - გ) ინფორმაციას შრომის ანაზღაურების ოდენობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
5. კანდიდატებს განაცხადის შევსების უფლება აქვთ, განაცხადის გამოქვეყნებიდან არანაკლებ 10 დღის განმავლობაში.
6. სტაჟირების შესახებ განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
  - ა) დიპლომის ასლი /სტუდენტის ცნობა;
  - ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
  - გ) სამოტივაციო წერილი;
  - დ) ერთი ფოტოსურათი და ფოტოსურათის ელ. ვერსია;

ე) ცნობა ნასამართლობის შესახებ.

7. სტაჟიორთა კონკურსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

ა) განაცხადების გადარჩევა

ბ) წერიტი დავალება

გ) ტესტირება

დ) გასაუბრება

### **მუხლი 6.**

სტაჟიორთა კონკურსის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას, მათ შორის სტაჟიორთა განაცხადების გადარჩევას (სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმება, წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა) უზრუნველყოფს აკადემიის კადრების განყოფილების წარმომადგენელი.

### **მუხლი 7.**

1. კანდიდატთან გასაუბრებას სტაჟირების მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე ატარებს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს კურატორი პრორექტორი (ან ერთ-ერთი პრორექტორი), შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აკადემიის ფსიქოლოგი, აკადემიის იურისტი და აკადემიის კადრების წარმომადგენელი.

2. გასაუბრებაზე დაიშვებიან ის კანდიდატები, რომლებიც გაივლიან იმ ეტაპებს რაც არის დადგენილი კონკრეტული სტაჟირების პროგრამისათვის.

3. კანდიდატის სტაჟირების გავლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად.

### **მუხლი 8.**

1. აკადემიაში სასწავლო პრაქტიკის გასავლელად პირის წარდგენა ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი შეთანხმება აკადემიასთან.

2. აკადემია წარმართავს საწარმოო პრაქტიკას და აფასებს პრაქტიკანტს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.

3. საწარმოო პრაქტიკის გავლის შედეგებს აკადემია უზღავნის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას.

### **მუხლი 9.**

1. სტაჟირებისა და საწარმოო პრაქტიკის დაწყება ფორმდება აკადემიის რექტორის ბრძანებით, რომელშიც აღნიშნება აკადემიის სტრუქტურული ერთეულის დასახელება, სადაც მიიღება კანდიდატი, სტაჟირებისა და/ან საწარმოო პრაქტიკის დაწყებისა და დასრულების თარიღები, პირობები და უშუალო ხელმძღვანელი.

2. იმ შემთხვევაში თუ სტაჟირება არის ანაზღაურებადი, სტაჟიორი ჩაითვლება შტატგარეშე მოსამსახურედ, ანაზღაურებადი სტაჟირების დამატებით პირობებს განსაზღვრავს რექტორი ზემოთ აღნიშნულ ბრძანებაში.

### **თავი III**

#### **სტაჟიორის, პრაქტიკანტის და აკადემიის უფლება-მოვალეობები**

### **მუხლი 10.**

სტაჟიორსა და პრაქტიკანტს უფლება აქვთ ხელმძღვანელის თანხმობით:

ა) მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების მომზადებასა და დოკუმენტაციის შედგენაში, რომლებიც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას განეკუთვნება ;

ბ) გაეცნონ სამსახურობრივ დოკუმენტაციას, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ;

გ) დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ აკადემიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და შეხვედრებში ;

დ) შეასრულონ კონკრეტული დავალებები, რომლებიც შეეხება აკადემიის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას ;

ე) პირადი განცხადებით მიმართონ აკადემიის ხელმძღვანელობას სტაჟირებისა და პრაქტიკის შეწყვეტის შესახებ .

### **მუხლი 11.**

1. სტაჟიორი და პრაქტიკანტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და იხელმძღვანელოს აკადემიის საქმიანობის მარეგულირებელი წესებით;

ბ) დადგენილ ვადებში შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის მიერ მიცემული დავალებები;

- გ) გაუფრთხილდეს აკადემიის ქონებას, იზრუნოს მისთვის გადაცემული ნივთების მოვლაზე;
- დ) სამუშაო ადგილზე გამოცხადება და მისი დატოვება დააფიქსიროს შინაგანაწესით განსაზღვრული წესით .

## **მუხლი 12.**

1. უშუალო ხელმძღვანელის ვალდებულება:

- ა) პირადად აკონტროლოს სტაჟიორისა და პრაქტიკანტის საქმიანობა;
- ბ) სტაჟიორს ან/და პრაქტიკანტს პერიოდულად მიაწოდოს სასწავლო თემატიკა, მისცეს დავალებები ;
- გ) განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადა;
- დ) ხელი შეუწყოს სტაჟიორისათვის და პრაქტიკანტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას;
- ე) სტაჟიორის/პრაქტიკანტის მიერ დაკისრებული ვალდებულების სისტემატიურად შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვალდებულია დასვას საკითხი სტაჟირების შეწყვეტის თაობაზე;
- ვ) შეაფასოს პრაქტიკანტი წინასწარ განსაზღვრული წესით.

## **თავი IV**

### **სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის შეწყვეტა, ვადები**

## **მუხლი 13.**

1. აკადემიაში სტაჟირების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 6 თვისა.
2. საწარმოო პრაქტიკის ვადას განსაზღვრავს საგანმანათლებლო დაწესებულება აკადემიის რექტორთან შეთანხმებით და ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სასწავლო სემესტრს.
3. სტაჟირებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, აკადემიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ატარებს სტაჟიორთან გასაუბრებას, განიხილავს მის დახასიათებას და სტაჟიორის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
4. აკადემიის რექტორი აკადემიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე , ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას :

- ა) შესაბამის დანაყოფს ავალებს, გასცეს ცნობა სტაჟირების გავლის შესახებ;
- ბ) სტაჟიორს ნიშნავს მის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე სამოქალაქო პირად, ან უფორმებს შრომით ხელშეკრულებას;
- გ) სტაჟიორის საქმიანობას აძლევს უარყოფით შეფასებას .

#### **მუხლი 14.**

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლები:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 5 დღის განმავლობაში სტაჟირების გავლის ადგილას გამოუცხადებლობა ან სტაჟირების გავლის ადგილას ხშირი არყოფნა, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს ;
- გ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება ;
- დ) სტაჟიორის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა ;
- ე) სტაჟიორის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- ვ) ისეთი გარემოებების წარმოშობა ,რომელიც შეუძლებელს ხდის სტაჟირების გავლას;
- ზ) სტაჟირების ვადის გასვლა;
- თ) სტაჟიორის გარდაცვალება ;
- ი) აკადემიის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია .

2. სტაჟირების ,სასწავლო პრაქტიკის ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის რექტორი აკადემიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

3. სასწავლო პრაქტიკის შეწყვეტის საფუძვლები :

- ა) საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი წარდგინება ;
- ბ) პრაქტიკანტის მხრიდან სასწავლო პრაქტიკის გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების სისტემატიურად არაჯეროვანი შესრულება ;
- გ) ამ დებულების მე-14 მუხლის 1 პუნქტის „ე“ „ვ“ „ზ“ „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში .

#### **მუხლი 15.**

ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით.

